№2425 2015 წლის 12 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის დასადები თანამშრომლობის მემორანდუმის პროექტის მოწონებისა და დ.ბაქრაძისათვის მისი ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის დასადები თანამშრომლობის მემორანდუმის პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელის მოწერის უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის სახელით, მიენიჭოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს დავით ბაქრაძეს.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**